საქართ. მუშარეხნის სოც.-ფედერალისტთ. სამწყოლუციო პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 5000 მან. № 157 შაბათი, თებერვლის 25 1922 წ.

# დღეს საქართველოს ჭაღარით მოსილ ტფილისში გაიხსნება საქართველოს მშრომელი ხალხის I-ლი სუვერენული ყრილობა.

# მშობლიური სალამი წითელ საქართველოს!

# გაუმარჯოს ახალ ხელისუფალთ!

უბედურებაა ხალხისთვის თუ მან დაიმონავა სხვა ხალხი.

ფრ. ენგელსი.

ინგლისელები მლიერ იცინოდნენ, როცა მე დავიწყე ჩემი სიტყვა*) იმის აღნუსხვით, რომ ჩვენი მეგობარნი ლაფარგი**) და სხვანი ეროვნებას უარყოფენ, მაგრამ ჩვენ კი ფრანგულ ენაზე გველაპარაკებიან, ესე იგი იმ ენაზე, რომელიც კრებია 9/10 არ გაეგება.

კ. მარქსი.

## ისტორიული კითარება

1921—25 თებერვალი—1922.

1921 წლის 25 თებერვალი დაიბადა ბრძოლაში, ქვქა-ქუხილში. მარტო 25 თებერვალი არ არის პირმშო შვილი ბრძოლებისა. 1914 წლიდან მთელი საქართველო გახვეულია ომისა და სამოქალაქო ბრძოლის ცეცხლში, ბოლოს ეს ისტორიული ქარახ-წყვეტა საერთაშორისო ძალთაგანწყობილების ძოროვში სწყვეტს ხალხების სვე-ბედს და ქანის ცხოვრების ნორმალურ განვითარებას და მყუდროებას.

ჩვენი ვალია მივიხედოთ ირგვლივ—რა ამბავი მოხდა, რა ამბები ხდება, სად ვართ, საით მივდივართ, როგორ მიგვითრევს მთელი ჩვენი ბარგი-ბარხანით წყეული ისტორია.

დღეს უფრო ადვილად შეგვიძლიან გავერკვეთ ჩვენს მდგომარეობაში, ვიდრე ეს შეგვეძლო 1921 წ.

ჩვენი აწინდელი მდგომარეობა გაცილებით უფრო რთული, სერიოზული და ისტორიულია, ვიდრე ეს გონია დღეს-ბვალიობის მეშყურეს ოადიო-ქოოების მიმდევრებს. 1914 წელში ატეხილმა მსოფლიო ომმა აწეწა მთელი კაცობრიობის ცხოვრება. საქართველოს შინაური ცხოვრებაც დაექვემდებარა საერთო მოვლენას და იგიც საოცრად აიწეწ-დაიწეწა. 1914 წლიდან ჩვენს ცხვირის წინ აფეხული იდგა ნიკოლოზის ჯარი, შემდეგში ჩვენ არ ვიცით არც ერთი მომენტი ჩვენს ცხოვრებაში, როდ ხან ინგლისის ჯარი, ხან იტალიის მატროსები, ხან ფრანგების, ხან კიდევ თათრების და რუსის ძალები არ კოფილიყვნენ.

სხვა და სხვა სამხედრო ძალების არსებობა საქართველოში, სულერთია მოწვევის შირმით ხდება ეს თუ მოსვლის სახით—ისტორიის სამართლისათვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს—ჭეშმარიტი გამოხატულებაა იმ ისტორიულ ქაპანისა, რომელსაც მსოფლიოს ბუმბერაზები ეწევიან ჩვენს გარშემო, ჩვენში და ყველგან.

ჩვენს ცხოვრებას ჭია-ღუასავით შერჩენია ორი ძალა—ერთია უცხოეთი, მეორეა საშინაო ძალა. ამ ორ ძალთა მნიშვნელობა ჩვენი ცხოვრებისათვის არა თუ პრობლემატიურია ჩვენთვის, პირიქით, ჩვენ გადაჭრით ვამტკიცებთ და ვწამს: ჩვენს ცხოვრებას ეს უცხო ძალები უფრო განაგებენ, ვიდრე საკუთარი ძალები. შეიძლება ეს იყოს ტრაგედია ჩვენი ერისა, მაგრამ ჩვენ ტრაგიკულ და კომიკურ მომენტებს კი არ ვიკვლევთ ისტორიის სინამდვილიდან, არამედ იმ ცოცხალ ფაქტებს, რომელსაც გვიქმნის ბრძოლაში დაკვეხული კაცობრიობის სისხლი და, რომელიც ერთად ერთი მეცნიერული საზომია ყოველი პოლიტიკურ-ისტორიულ ვითარების საძიებლად.

კაი ხანია ჩვენი საშინაო კულტურული და ეკონომიური ცხოვრების ძაფები მჭიდროდ გადაეჭდო საერთაშორისო ცხოვრების ძაფებს. მომენტებს თუ არ მივიჩნევთ ისტორიულ, მარადიულ ფაქტად, ჩვენ ყველამ კაი ხანია დავკარგეთ ნამდვილი დამოუკიდებლობა. მარტო 3 ათასი მეტრის სიმაღლიდან რომ გადმოვხედოთ ჩვენს საშინაო ფუსფუსს, ადვილად შევამჩნევთ მთელს ჩვენს სისაწყლეს საერთაშორისო ძალების წინაშე. ჩვენ ბევრი რამ გვინდა და ბევრი ოცნება იტაცებს ჩვენს არსებას, მაგრამ ისტორიას საკუთარი გზები დაუსახავს და იქით მიგვაქანებს. ამ ისტორიულ პროცესს და ნებისყოფას ამავე დროს სრულიად შეუგნებლად ვამტკიცებთ ჩვენივე ხელებით. თუ სრულიად დავივიწყებთ ევროპის მასშტაბის საერთაშორისო განწყობილებას, ჩვენ კიდევ მეორე საერთაშორისო ურთი-ერთობა გვაქვს ახლო საზღვართან—ეს არის მეზობელ რესპუბლიკებთან ცხოვრების საკითხი. საქართველოს ნამდვილ დამოუკიდებლობას არა მარტო ევროპის მასშტაბის საერთაშორისო განწყობილება სპობდა და სპობს, არამედ ეს ახლო საერთაშორისო, ინტერ-სახელმწიფოებრივი ურთი-ერთობაც. საქართველომ, აზერბეიჯანმა, სომხეთმა, სათათრეთმა, თითქოს თითქოს იცნო ერთმანეთი, მაგრამ ეს ცნობა ერთხელაც არ მოეწყო ნამდვილი თანხმობის ნიადაგზე. არავითარი სამართალი, არავითარი ლოღიკა, არავითარი არბიტრაჟი არ გამოდგა ჩვენს შესათანხმებლად. ჩვენთვის არ არსებობს საკითხი თუ ვისი ბრალი იყო ეს შეუთანხმებლობა, მუდმივი დავა, ბრძოლა, ომები. ფაქტია —ჩვენ ერთმანეთს ვჭამდით და ეს ერთმანეთის ჭამა სინსილას აცლიდა ჩვენს დამოუკიდებლობას, იმ მდგომარეობას, რომლის შექმნაში ჩვენ მაქსიმუმი როლი ვითამაშეთ და რაშიაც ხელსაყრელი პირობები გადაგვიშალა საერთაშორისო მდგომარეობამ.

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის პერიოდი 1918—2921 წ.წ. იყო პერიოდი სისტემატიური ომებისა და ბრძოლებისა; ხოლო თუ მაინც ხან და ხან ეს ომის გენია თავის მრისხანე სახეს დაკარგავდა და მშვიდობიანობის მზე თავის მცხუნვარე სხივებს გვტყორცნიდა—ეს ხდებოდა არა ჩვენი ნებისყოფით, არამედ ჩვენივე ალაგმვით: ჩნდებოდა მესამე უცხოეთის ძალა, ღონიერ ხმალს ხელში იპყრობდა, შუა ალაგას გამოვიდოდა, დაგვტუქსავდა ორთავე მხარეს, ორივენი თავს მოვიკატუნებდით და იგი მესამე ძალა ზოგას ასახავდა თავის მეთვალყურეობის ქვეშ რომ არ შეგვეჭამა ერთმანეთი. ჩვენ დღესაც არ ვიცით სადამდე დავიდოდა ჩვენი სიძულვილი და უთანხმოება ერთმანეთისადმი, მაგრამ ის კი ვიცით, რომ თუ ჩვენ განჯა-ბაქო გვეღანდებოდა, ერევან-ყარსი გვესიზმრებოდა, ისე მოწინააღმდეგები ტფილისზე ან ბათომ-ტფილისზე ლოცულობდენ.

საქართველოს დამოუკიდებლობის ერთი უმთავრესი ტრაგიკული მომენტი ამაშიც გახლდათ, რაიცა საოცრად აძლიერებდა უფრო დიდი მასშტაბის საერთაშორისო ძალების ჩვენზე ბატონობის საფუძვლებს.

ამას გარდა ჩვენ გამოვიჩენდით დიდ პოლიტიკურ სიბეცეს, რომ არ შეგვემჩნია ის დიდი ბრძოლები, რომელსაც ჩვენში სამოქალაქო ომის ხასიათი ქონდა და რომლის ნიშნებსაც ძალიან სუსტად ეხლაც ვამჩნევთ. ჩვენ მოგახსენებთ პოლიტიკურ ჯგუფების მწვავე ბრძოლების შესახებ. როცა მენშევიკურ საქართველოს ძალა სურამში იქით იმყოფებოდა, ჩვენ გაზეთ „სოციალისტ ფედერალისტ“-ში მოწინავე წერილი დავსტამბეთ, სადაც საქართველო დავსახეთ ორ ბანაკად—ერთი ლიხის მთის იქით მდგარად, მეორე ლიხის მთას აქეთ მომქმედად. ჩვენ მოვითხოვეთ ამ ძალების შერიგება, შეთანხმება. წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც ჩვენ ეს პოლიტიკური ნაბიჯი გადავდგით, წელიწადია რაც შევაფასეთ რეალური ძალთა განწყობილება. მაშინ ხსენებულმა წერილმა და მოვლენის ჩვენმა განმარტებამ საზოგადოებაში დიდი ალიაქოთი გამოიწვია, ამის გამო ჩვენ მოგვიწია საშინელი დემაგოგიის და იერიშების ატანა, მაგრამ ჩვენ დღეს კიდევ მეტის სიმტკიცით, მეტის პასუხისმგებლობით ვადიარებთ იმავე აზრს. მოწინააღმდეგენი გვიყიჟინებდნენ: სადაური ხარ საქართველო, სადაური იქითა და აქეთა მხარე, რას ჩმახავთ, რას ამბობთ? ერთ მხარეს არის ოკუპაციის ძალა, მეორე მხარესაა თავისუფლებისათვის მებრძოლი ძალა. გარეგნულად ამ ფრაზებს, შექმნილ პოლიტიკურ პირობებში ამ დებულებას ქონდა უდიდესი გავლენა. ხშირად ადამიანი და საზოგადოება იმას კი არ ხედავს, რაც არის, არამედ რაც უნდა. ჩვენ უეჭველად იმას არასოდეს არ ვიტყვით, რასაც ყველა ამბობს, ან რაც ყველას სურს და სწადია. ჩვენ საშინლად მძიმე პირობებში ვსთქვით ცხოვრებიდან ამოღებული ფაქტი, თუმცა ვიცოდით, რომ იგი ფაქტი ყუმბარასავით გავარდებოდა ყველგან და ჩვენსკენ პროტესტები წამოვიდოდა. ჩვენ გადავლახეთ ეს სიძნელე. ეხლა ყველასათვის აშკარაა ჩვენი მაშინდელი დებულების სრული ჭეშმარიტება.

მართლაც, ჩვენს საზოგადოებრივ ჯგუფებში, სულ ერთია როგორ და რა საშუალებით ხდებოდა ან მოხდა, უდიდეს პოლიტიკურ ძალად ითვლებოდა მენშევიკური და კომუნისტური პარტია. სხვა პარტიას არც-ერთ, არც ისტორიით, არც მუშაობით, არც ორგანიზაციით იმდენი და ისეთი კავშირი არ ქონდათ ქართველ ხალხის მასსაში, რამდენიც ხსენებულ ორ პარტიას. კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტია მუშაობს საქართველოში მეოთხმოცდაათე წლებიდან *), ხოლო ბოლშევიკურ პარტიის ორგანიზაციას მუდამ ახასიათებდა ცენტრალიზმი, სასტიკი დისციპლინა და პირდაპირი აქტიური პოლიტიკა ეკონომიზმის და რეფორმიზმის წინააღმდეგ.

საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში კომუნისტები ეწეოდენ სასტიკ ბრძოლებს. ასეთი ბრძოლები თავისი ძალების სასარგებლოდ არ უწარმოებია საქართველოში არასოდეს არც ერთს პარტიას. ჩვენ ვხედავდით შეიარაღებულ აჯანყებებს დუშეთში, გურიაში, ქართლში, აფხაზეთში, ბორჩალოში. ეს აჯანყებანი ხდებოდა ადგილობრივი ძალების, პარტიის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობით და მის ჩასაქრობად მთავრობა გამოდიოდა ჯარით, ჰაეროპლანით, ბრონევიკებით. ესე იგი ჩვენს წინაშე ადგილი ქონდა საქართველოში ნამდვილი სამოქალაქო ომს. ეს ომი იყო ომი ორ საქართველოს შორის, ორი მიმართულების ბრძოლა ქართველ ხალხში.

ყველამ იცის როგორ დამთავრდა ეს ომი. მრავალი კომუნისტი ციხეში დალპა და დაიღუპა, მრავალი მონაწილე შეიარაღებული აჯანყების დაიხვრიტა. მენშევიკურმა მთავრობამ სინსილა გააცლო ჩვენში კომუნისტებს. რასაკვირველია ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ საქართველოს პირიდან აღგვილიყო ბოლშევიზმი. პირიქით, ვინ არ ხედავდა და არ გრძნობდა, რომ რამიშვილ-ჩხიკვიშვილის ტლანქი პოლიტიკა აძლიერებდა ბოლშევიზმს და ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს—რამიშვილი იწვევს ჩვენში ბოლშევიზმის უეჭველად გამარჯვებას. მე ეხლაც ღრმადა მწამს, რომ მენშევიკური მთავრობის სიბეცე ჩვენ მიგვიყვანდა ბოლშევიკურ გადატრიალებამდე, თუმცა ეს გადატრიალება სისხლიანი, საშინელი ტეხის და არა ძალიან ახლო მომავლის საქმე იქნებოდა.

ჩვენს პოლიტიკურ ჯგუფებში არ არსებობდა არც ერთი პოლიტიკური პარტია, რომელსაც ქონოდა გადაწყვეტილი ბრძოლით, აჯანყებით, რევოლიუციით ჩამოეგდო მენშევიზმი. ფედერალისტებმა ყოველივე საშუალება დაჰკარგეს მთავრობის უფლების ხელში ჩასაგდებად, იგივე ითქმის ყველა დანარჩენ, უფრო წვრილმან პარტიებზე. იყო მხოლოდ ერთი გამონაკლისი—ეს გამონაკლისი გახლდათ ბოლშევიკები. ბრძოლაც, პოლიტიკური კამპანიაც, ლიტერატურული ომიც გადავიდა მენშევიზმ-ბოლშევიზმს შორის. ყოველი კრება, ყოველი მიტინგი, ყოველი გამოსვლა სახავდა ბრძოლას ამ ორ მიმართულების შორის. ეს იყო ბრძოლა საქართველოს შინაგანი ძალთა შორის.

ეს სასტიკი, სისტემატიური, საშინელი სამოქალაქო ომი თავის მხრივ მეტის მეტად ანგრევდა საქართველოს დამოუკიდებლობას და ზევით აღნუსხულ პირობებს თავის მხრივ ემატებოდა ახალი შინაგანი ფაქტორი, რომელიც შეუძლებლად ხდიდა საქართველოს დამოუკიდებლობას.

მაგრამ მეორე მხრივ ბოლშევიკების სასტიკი ომი მენშევიკებმა სახელმწიფოს მთელი სამხედრო ორგანიზაციის დახმარებით ჩააქრეს, დაახშეს. 1921 წელი საქართველოს ბოლშევიკების ისტორიაში იმით არის აღსანიშნავი, რომ მათაც გადაწყვიტეს სახელმწიფოებრივი აპარატის გამოყენება და გამოიყენეს კიდეც თავისივე პარტიის სახელმწიფოს ძალა.

ჩვენი საზოგადოება აღშფოთებული იყო იმით, რომ ბოლშევიკებმა გამოიყენეს რუსის ბოლშევიკები. ჩვენ ეს გარემოება არც გვაშფოთებდა, ჩვენ გვესმოდა და გვესმის ეს ეხლაც. საკვირველი ის კი არ არის, რომ ბოლშევიკებმა რუსის ბოლშევიკები გამოიყენეს, საკვირველი ის იქნებოდა, რომ ქართველ კომუნისტებს რუსის კომუნისტები არ დაეხმარათ, არ არსებობს არც ერთი პოლიტიკური პარტია დედამიწის ზურგზე, რომელმაც თავისი პოლიტიკური მთელი ორგანიზაცია არ გამოიყენოს და არ ისარგებლოს თავისი მიზნებისათვის. აქ სახელმწიფოებრივი საზღვარი შეუძლებელია პარტიამ დაისახოს გარდუვალ ზღუდედ. პოლიტიკურად ამ საწინააღმდეგოდ მოქმედება პირდაპირ შეუძლებელია. არა მარტო ეს, ჩვენ კიდევ მეტსაც ვიტყვით, პარტია თუ მთავრობებს გამოიყენებს პარტიულად უცხო პოლიტიკურ აპარატსაც. ამის მაგალითი ჩვენ მოგვცა თვით მენშევიკებმა საქართველოში. ჩვენი ცხოვრების მეთვალყურეებს მოეხსენებათ, რომ 1918 წელში მთელ ამიერ-კავკასიის

---

**) ლაფარგი—ფრანგია.—რედ.

*) I. ინტერნაციონალის საბჭოს კრებაზე ლონდონ 1866 წ. კრება გზებიდა ეროვნულ საკითხს.

რედ.

*) ფრაქციული მიმართულება 1908 წლიდან.

მოელოდა დიდი საფრთხე ოსმალეთის სახით. მენშევიკურმა პარტიამ 14 აპრილს (1918 წ.) დაუყოვნებლივ გადადგა საპასუხისმგებლო ნაბიჯი და დახმარება სთხოვა ბოლშევიკურ რუსეთს. აი რასა სწერდნენ მენშევიკები რუსებს: „ოსმალეთის იმპერიალისტებმა მოთხოვნილება წამოგვიყენეს, რაიცა ამოწავებს ამიერ-კავკასიას. ჩვენ ვერ დავეთანხმეთ ამ მოთხოვნილებით, რადგანაც ეს მიგვიყვანდა მთელ კავკასიის რუსეთიდან გამოყოფას და იქნებოდა რევოლიუციის ღალატი. უდიდესი განსაცდელი ადგია ამიერ-კავკასიას. ამ საათში თქვენ უნდა დაგვეხმაროთ დიადი სარევოლიუციო ბრძოლების ჩვენო ძმებო“ (იხ. „Документы и материалы по вн. п. Закавказья и Грузии“, გვ. 187).

რუსეთი ვეღარ დაეხმარა „ძმა“ მე-ბს. მენ-ბმა მიმართეს გერმანიას, რომელმაც შეიარაღებული ძალა გამოგზავნა ფონ-ლოსსოვის საერთო ხელმძღვანელობით. ერთი სიტყვით, სრულიად არ იყო გასაკვირველი, რომ საქართველოს ბოლშევიკებმა თავის მკვიდრ ძმებს მიმართეს დახმარებისათვის.

ჩვენ არც ის გაგვკვირვებია, რომ ბოლშევიკები საქართველოში გამარჯვებას აჯანყებით ხსნიან. ეს მოტივი დღესაც აძლევს ჩვენს „საზოგადოებას“, თუმცა ასაღელვებელი აქ სრულებით არაფერია. ბოლშევიკების მთელი მოღვაწეობა საქართველოში მენშევიკების დროს არის სისტემატიური აჯანყება. არც ის გვაკვირვებს, რომ ბოლშევიკები ამტკიცებენ, რომ აჯანყდა ქართველი ხალხი, არ გვაკვირვებს იმიტომ, რომ როგორც მენშევიკებს ეგონათ, რომ ისინი გამოსახავენ ქართველ ხალხს, ისე ბოლშევიკებს ეგონათ „და დღესაც გონიათ, რომ ისინი მთელ ხალხს გამოხატავენ. ყოველივე ეს არა მარტო მენშევიკებს და ბოლშევიკებს ახასიათებს, არამედ ყოველივე პოლიტიკურ პარტიას და ჩვენ სავსებით გვესმის, რომ ბოლშევიკები საქართველოში მომხდარ ამბებს ხსნიან ქართველ ხალხის აჯანყებად.

„საქართველოს კომუნისტები ქართველ ხალხის საგრძნობი ძალაა და როცა ეს ორი ძალა დაუპირისპირდა ერთმანეთს, ჩვენ განვაცხადეთ, ლიხის მთის იქით-აქეთ ერთი ერის ორი ძალაა-თქო. ეს ასე იყო არსებითად. განსხვავება უბრალო დეკორაციაში იყო მხოლოდ: ბოლშევიკებს ჰყავდათ აქტიურად დამხმარე ძალა, ხოლო მენშევიკებს პასიური დამხმარე ანტანტა, რომელმაც უღალატა. მენშევიკებს რომ კაბიანი და თმიანი ჯარისკაცები მოეშველებიათ, ამით დაიკარგებოდა ის ფაქტი, რომ საქართველოში გაჩენილი იყო ორი შინაური ფრონტი, რომლის ბრძოლა ჩვენ მიგვაჩნდა და დღესაც მიგვაჩნია ეროვნულის მხრივ ფრიად საზარალოდ.

რას ნიშნავს აქტიობა და გამარჯვება ერთის, დამარცხება და პასიობა მეორესი?

თედო ღლონტი.

# საქართველოს ახალი ხელისუფალი

დღეს საქართველოს დედა-ქალაქში, ქალაქ ტფილისში შეიკრიბება სრულიად საქართველოს მუშათა და გლეხთა დეპუტატების ყრილობა. ისტორიული ცხოვრების ვითარებაში მრავალ ქირნახულ ჩვენს დედაქალაქს მრავალი სიმხიარულე და წამების დღეები განუცდია, ბევრჯერ უნახავს მას თავზე დატეხილი უბედურებაცა და სიამის დღეები. მაგრამ დღევანდელი აქტის პოლიტიკური და ეროვნული ღირებულება განსაკუთრებულია და იგი არსებითად განსხვავდება თავისი სიდიადით ყველა მოვლენებისაგან, რომელიც კი ტფილისს განუცდია თავისი არსებობის ხანაში.

ისტორიული ღირებულება და პოლიტიკური აზრი დღევანდელი აქტისა მრავალ მხრივი და მრავალ მნიშვნელოვანია.

დღეს ერთი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ბატონობა დამყარდა. ერთი წლის განმავლობაში საქართველოში პოლიტიკური ხელისუფლება რევოლიუციონურ კომიტეტს ეპყრა ხელში, რომელიც თავისი ღირებულებით დროული და გარდამავალია; ერთი წლის მოღვაწეობის შემდეგ რევკომი ადგილს უთმობს საქართველოს ახალს ხელისუფალს, საბჭოთა ყრილობას. ამ გვარად ჩვენში თანდათან მტკიცდება და შეურყეველი საფუძველი ეყრება მშრომელთა დიქტატურას საბჭოთა სისტემის ფორმებში.

ასეთი ისტორიული განვითარება საბჭოთა სისტემის განმტკიცების დროს დ განსაზღვრული ეტაპების განვლა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა.

ჩვენში ობიექტიური გარემოება და პირობები ისეთი იყო რევოლიუციონური ძალა-უფლების დამყარების დროს, რომ მაშინვე საბჭოთა სისტემის მთელი თავისი შინაარსით ჩამოყალიბება ყოვლად შეუძლებელი და შეუძლებელი იყო, ამ აქტამდე უნდა შესრულებულიყო მთელი რიგი წინასწარი მოსამზადებისა, რომ შემდეგ მის ნიადაგზე აღმოცენებულიყო ახალი სახელმწიფოებრივი წყობილება, მუშურ-გლეხური ბატონობის მთლიანი სისტემა.

რევკომები ამ გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური მმართველობაა; იგი ჩნდება ხოლმე რევოლიუციონური შეტაკებისა და ომების დროს და მისი მთავარი დანიშნულება შეადგენს ნიადაგი შეამზადოს და ხელუხლებლივ შეუნახოს პოლიტიკური ბატონობის სარბიელი მშრომელთა კლასს.

დღეს ჩვენ უკვე ამოვსწურეთ რევკომების მოღვაწეობის პერიოდი და საქართველოს სვე-ბედი მისმა მშრომელთა მასის წარმომადგენლობამ ჩაიბარა. ამით იწყება ახალი ხანა, ახალი პერიოდი საქართველოში. რევკომების სისტემა მოკვდა სამუდამოთ, მაგრამ მის ნაცვლად ახალი ჯანღონითა და ენერგიით აღსავსე ხელისუფალი მოვიდა.

ჩვენ წინ მნიშვნელოვანი და მრავალ ღირებულების საკითხები იჭრებიან. რას ნიშნავს ახალი აქტი თავისი სოციალ-პოლიტიკური მნიშვნელობით; როგორია მისი შინაარსის ეროვნული ღირებულება?

საბჭოთა სისტემის განმტკიცებით საქართველოში იწყება ახალი სოციალური კლასის პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობის ხანა. ამ პერიოდით, რომლის დასაწყისი არსებითად ამ ერთი წლის წინათ მოხდა, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის და ერის ცხოვრების მესაჭეობას ეწევა სრულიად ახალი კლასი, რომელიც ამდენი ხანს მოწყვეტილი იყო პოლიტიკური ცხოვრების სარბიელს. საბჭოთა სისტემის ჩამოყალიბებით თავდება ძველი საქართველოს არსებობა, და ნიადაგი ეყრება ახალს, მეტი ენერგიით და სიცოცხლით აღსავსეს.

საქართველოს განვითარების ისტორიული გზები მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით მიემართებოდა. მან გადაიტანა ფეოდალური სისტემა თავისი პარტიკულარიზმის კარჩაკეტილობით. „ფეოდალურმა ბატონობამ დაშალა საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა, დაანაწილა იგი რამოდენიმე დამოუკიდებელ სამთავროებად, რომელთა შორის განუწყვეტელი ომი და ქიშპობა იყო. საქართველოში ფეოდალიზმის ისტორია ეს არის იმავე დროს ქართული ეროვნული ენერგიის განიავებისა და გაფლანგვის ისტორია. ფეოდალურმა ბატონობამ, არისტოკრატიის გათავხედებულმა პოლიტიკამ დასერა ჩვენი ეროვნული ორგანიზმი და ერის შემოქმედებითი ძალა ურთიერთ შორის ბრძოლებში გაანიავა. ამ გარემოებას ხელი შეუწყო მაშინდელმა ჩვენში საერთაშორისო მდგომარეობამ და საქართველოს კარზე მომდგარ მტრების სურვილებმა. საქართველოს ასეთი პირობები დაჟინებით მოითხოვდა გარედან დამხმარე ძალის. განსაკუთრებით ერეკლე მეფის გადაჭრილმა პოლიტიკამ გადასწყვიტა ფეოდალური საქართველოს ბედი და რუსეთის დამყარებით ჩვენში არსებითად შეიცვალა ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების სამირკველი. ამ აქტით დამთავრდა პოლიტიკური ფეოდალიზმის ბატონობის პერიოდი და ნიადაგი ჩაეყარა რუსული ბიუროკრატიზმის მმართველობას, რომლის ბატონობის ისტორია 117 წლის ხანგრძლივობით აღიწერება, ობიექტიურად ჩრდილოეთის იმპერიალიზმის შემოსვლამ საქართველოში ხელი შეუწყო ჩვენი დაფლეთილ ნაწილების გაერთიანებას, სუბიექტიურად კი ამ ბატონობას სარჩულად ედვა დენაციონალიზაციის პოლიტიკა და რუსული ბიუროკრატიზმის გამეფება ჩვენში. ქართულმა პუბლიცისტიკამ არჩილ ჯორჯაძის მეთაურობით დიდი ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და საფუძვლიანად გამოარკვია რუსული იმპერიალიზმის ძირითადი ტენდენციები ჩვენში.

1917 წლის თებერვლის რევოლიუციით იწყება დასასრული რუსული იმპერიალიზმის ბატონობისა საქართველოში. ჩვენი აღორძინების ახალი ხანა დიად საერთაშორისო მომენტების პერიოდში დაიწყო. მსოფლიო, შევიწროებული და დაფლეთილი საერთაშორისო ომის გავლენით, შეინძრა და მოისურვა კაპიტალისტური მეურნეობის ქერქიდან გამოსვლა და ახალი სოციალური ურთიერთობის განმტკიცება, ამ დიად მომენტში ერთი მეორეს დაუპირისპირდა ორი საერთაშორისო სოციალური ძალა: პროლეტარიატი და ბურჟუაზია, ორი მომქმედი ფაქტორი: იმპერიალიზმი და რევოლიუცია. თუ უწინ საქართველოს თავისი ორიენტაციის გადაჭრა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა არსებობის პირობებში უხდებოდა, დღეს მსოფლიო კონიუნქტურის ხაზები ძირიანად შეიცვალა და ერთი მეორეს დაუპირისპირდა მსოფლიოში ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო იდეების მატარებელი კლასი. საქართველოს თავისი ორიენტაციის გზის გამოკვლევა და მიმართვა ამ ორი სოციალური კატეგორიების ინტერესების შეფარდებით უნდა ეწარმოებია. საბჭოთა რესპუბლიკები და ანტანტა წარმოადგენდა იმ საერთაშორისო ძალას, რომელთა მოქმედება ჰქმნიდა არსებითად თანამედროვე ინტერნაციონალურ პოლიტიკას, აი ამ ორ პოლიტიკურ ერთეულებს შორის ქანაობდა საქართველოს ორიენტაციის გეზი და ბოლოს ობიექტიურმა გარემოებამ და გაბატონებულ პარტიების პოლიტიკამ არსებითად გადახარა იგი ანტანტის მხარეზე.

საქართველო გამარჯვებულ ანტანტის ორბიტაში მოექცა და ევროპის იმპერიალიზმმა სავსებით ჩაითრია ჩვენი სამშობლო თავის მოქმედების ქსელში.

მენშევიზმის ბატონობა საქართველოში ეს არის ბურჟუაზიული პოლიტიკის ბატონობა. მენშევიზმი თავისი პროგრამითა და მოძღვრებით წვრილ ბურჟუაზიული პარტია არის. მაგრამ მისი წვრილ-ბურჟუაზიული ბუნება დაფარა თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობის არსებითმა მოთხოვნილებამ და მას გარკვევით მსხვილი ბურჟუაზიული შინაარსი მისცა: მენშევიზმი ჩვენში კაპიტალისტური მეურნეობის აღდგენას შეუდგა და ბურჟუაზიის ეკონომიური ავტონომიისათვის ამზადებდა ნიადაგს. მაგრამ, ვინაიდგან ჩვენი „ხორცი“ ბურჟუაზია ერთობ უნიჭო და უმოქმედო გამოდგა, ამიტომ ნაციონალური კაპიტალის ნაცვლად ჩვენში შემოიჭრა ევროპის კაპიტალი. ამ გვარად, მენშევიკების პოლიტიკის წყალობით, საქართველო, როგორც პოლიტიკურად ისე ეკონომიურადაც სავსებით მოექცა ევროპის კაპიტალიზმის გავლენის ქვეშ და გაუმაძღარმა იმპერიალიზმა მოინდომა იგი თავისი ყოველ მხრივი ექსპლოატაციო ობიექტად გადაექცია. ევროპის კაპიტალის ეს საერთო ტენდენცია ახასიათებდა მენშევიკების ხანას. საქართველო მთელი თავისი უხვი ბუნებრივი სიმდიდრითა და მოხდენილი გეოგრაფიული მდებარეობით ევროპის იმპერიალიზმისათვის უდიდესი ღირებულების დოვლათს წარმოადგენდა. ეკონომიური და პოლიტიკურ-სტრატეგიული ინტერესები გამარჯვებულ იმპერიალიზმისა პირდაპირ მოითხოვდა საქართველოს თავისი გავლენისა და ბატონობის ქვეშ დაყენებას. იმპერიალიზმის ამ ინტერესს სავსებით შეუთანხმდა მენშევიკების წვრილ-ბურჟუაზიული ბუნება და ჩვენ მოწმე შევიქენით ახალი ძალის სრულ გაბატონებისა ჩვენს ტერიტორიაზე. ასე მოხდა ბუნებრივი შეუღლება დასავლეთის იმპერიალიზმისა აღმოსავლეთის მენშევიკურ მთავრობაზე. მენშევიზმის როლი კაპიტალის ბატონობის დროს საქართველოში იმაში უნდა გამოხატულიყო, რომ მას თავისი პოლიტიკური აპარატის შემწეობით ევროპის ბურჟუაზიის საწველ ფურად უნდა გადაექცია მთელი ჩვენი ეკონომიური დოვლათი და ჩვენი სოფლის მეურნეობა დაემორჩილებინა კაპიტალის საექსპლოატაციო ინტერესებისათვის. ასეთი როლი დამახასიათებელ ფუნქციას შეადგენს ყველა წვრილ სახელმწიფოთა პოლიტიკურ ორგანიზაციის კაპიტალისტური იმპერიალიზმის პერიოდში.

ამ გვარად გზა მენშევიკური პოლიტიკისა არსებითად იყო გზა კაპიტალისტური მეურნეობის განმტკიცებისა ჩვენში. მენშევიკური ორიენტაცია, რომელიც მიმართული იყო დასავლეთის იმპერიალიზმისაკენ, ფართო ნიადაგს უმზადებდა უცხო კაპიტალის ბატონობას საქართველოში.. კაპიტალისტური მეურნეობისა და კულტურის გაჩაღება, აი რა ახასიათებდა მენშევიკურ პროგრამას.

რამდენად შეეფერებოდა ასეთი პროგრამა საქართველოს ინტერესებს, მის ეროვნულს ტკივილებს?

ამ საკითხს სავსებით ნათელს მოფენს ის საერთო ტენდენცია, რომელიც ახასიათებს თანამედროვე ფინანსიურს კაპიტალს. თანამედროვე კაპიტალიზმსა და მის საგარეო პოლიტიკის გამომხატველს იმპერიალიზმს ახასიათებს ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნებისა. კაპიტალისტური მეურნეობის ეს ფორმაციები არსებითად სწუწნიან ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებს, გამოაქვთ იქ დაგროვილი სიმდიდრე და დოვლათი თავიანთ სამშობლოში და ამ გვარად უსპობენ თავიანთ გავლენის ქვეშ მოქცეულ მხარეებს საფუძვლებს ეკონომიური აღორძინებისათვის. კაპიტალისტური იმპერიალიზმი ანადგურებს, აჩიავებს ასეთს ქვეყნებს; ამით ისპობა ეკონომიური გზა შემდეგი წარმატებისათვის და ერი თანდათანობით ლატაკდება.

ერს სპობს და ანადგურებს არა ბიოლოგიური კანონი, არამედ სასტიკი სოციალ პოლიტიკური წყობილება. იმპერიალიზმი სწორედ ასეთს სასტიკსა და დაუნდობელს სოციალ-პოლიტიკურ ორგანიზაციის უღელს ადგამს მისი გავლენის ქვეშ მოქცეულ ყველა ერებს. მენშევიზმის პოლიტიკა ამ გვარად გამანადგურებელი მონობის სოციალ-პოლიტიკურს ურთიერთობას გვიმზადებდა მომავალში, იმპერიალიზმთან შეუღლების წყალობით.

თანამედროვე კაპიტალიზმმა დაჰკარგა თავისი შემოქმედებითი ძალა და მსოფლიოს წინმსვლელობის შემაფერხებელი ზღუდე შეიქმნა. მისი ღირებულება დღეს მსოფლიო დოვლათის გაფლანგვასა და განიავებაში გამოიხატება. გზა კაპიტალიზმისა, ეს არის ახალი საერთაშორისო ომებისა და მსოფლიო ეკონომიკის განადგურების გზა.

მენშევიზმმა ამ დამღუპველ ლიანდაგით მიმართა საქართველოს სავალი გზა და მისი მომავალი თანამედროვე კაპიტალიზმის ბედს დაუკავშირა.

მაგრამ ეს გზა აუცილებლად დაღუპავს უეჭველად ქართველ ერს და დღევანდელი აქტის პოლიტიკური ღირებულება და დიდი ეროვნული მნიშვნელობაც სწორედ იმაში გამოიხატება, რომ მან ააცილა ქართველი ერი ამ დაღუპვის გზას.

აქამდე საქართველოს პოლიტიკურს ცხოვრებას [illegible] გაბატონებული [illegible] ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური [illegible] წრეები. დღეს პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზის უფლება სრულიად ახალი კლასი, საქართველოს მშრომელი ელემენტები და ის თავისი გზით იწყებს საქართველოს ბედის მომართვას; მისი გზა ნარეკლით არის მოცული, მაგრამ იგი უქადის ჩვენს ერს აყვავებას.

ჩვენი მშრომელი დემოკრატიის გზა მიმართულია არა კაპიტალიზმის აყვავებისა და აღდგენისაკენ, არამედ მისს განადგურებასა და ახალი სოციალური ურთიერთობისაკენ.

ჩვენ შევდივართ ჩვენი ისტორიული ცხოვრების განვითარების ახალს პერიოდში. საბჭოთა „სისტემის განმტკიცებით ირღვევა ძველი დახავსებული ჩვენი ცხოვრების ყველა საფუძვლები და ახალს სოციალ-პოლიტიკურს სამირკველებზე მტკიცდება ჩვენი ერის შემოქმედებითი ენერგია.

მშრომელთა დიქტატურის დამყარებამ ჩვენში ერთხელ და სამუდამოდ გადასწყვიტა ჩვენი ორიენტაციის გეზი და გარკვეულ კონტურებით მოხაზა საქართველოს სოციალ-პოლიტიკური მშენებლობის გზა.

ეს გზა სრულიად ახალია, საქართველოსათვის; მისი მეთაური და წინამძღოლი არის ახალი ენერგიით და სიცოცხლით აღსავსე კლასი.

ჯანსაღი კლასის პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე გამოსვლით იწყება საქართველოს ეროვნული სხეულის გაჯანსაღების საქმეც.

ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით საქართველოს ამ ახალი ხელის უფლის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლას და მათთან ერთად ვიბრძოლებთ ეროვნული კულტურის ახალი გზით აღორძინებისათვის.

ჩვენი სალამი ახალ ხელისუფალს.

ხიმონ ხუნდაძე.

უცხოა თუ არა ჩვენთვის, ველიკორუსების შეგნებულ პროლეტარებისათვის, გრძნობა ეროვნული სიამაყისა?—რასაკვირველია, არა! ჩვენ გვიყვარს ჩვენი ენა და ჩვენი სამშობლო, ჩვენ ყველაზე მეტს ვმუშაობთ იმისთვის, რომ მისი მშრომელი მასსები ამაღლოთ დემოკრატების და სოციალისტების შეგნებულ ცხოვრებამდე. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჯალათების ძალადობამ გამოიწვია მისი [illegible] ჩვენის, ველიკორუსების მხრივ, რომ ამ წრემ წამოაყენა რადიშჩევი, დეკაბრისტები, რევოლიუციონერები—რაზნოჩინცები, რომ ველიკორუსების მუშათა კლასმა შექმნა 1905 წ. მასსების ძლიერი რევოლიუციონური პარტია, რომ ამავე დროს ველიკორუსული მუჟიკი ხდებოდა დემოკრატი და [illegible] აგდებდა მღვდლებს და მემამულეებს. 1914 წ.

ლენინი.

# ისტორიული დატა

25 თებერვლის შეფასება დღეს მეტად ძნელია განსაკუთრებით იმის გამო, რომ ამ ისტორიული აქტის შემდეგ ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ხანგრძლივობას მხოლოდ ერთი წელი ჰფარავს, ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური ბრძოლა ამ ქამად გამწვავებულიც არის და ამავე დროს ერთრიგად გაგრძელებაც 25 თებერვლის აქტისაგან დამყარებულ წესწყობილების გარშემო.

მაგრამ თუ გვინდა განთავისუფლდეთ სუბიექტიური მომენტის პრიორიტეტისაგან და ვიქმნეთ მიუდგომელნი მსაჯულნი იმდენად მაინც, რომ გრძნობებისა და განცდების უპირატესობა არ აპნევდეს ობიექტიური მოვლენების შეფასებას, საჭიროა 25 თებერვლის ისტორიული მოვლენა ავწონის იმ შედეგების მიხედვით, რომელიც მისცა მან საქართველოს მუშათა და გლეხთა მასებს კლასობრივი თვალსაზრისით, რა ღირებულება შექმნა ამ დატამ მთელს ქართველ ერს მთლიანად. თორემ ჩვენ, რომ დაუბრუნდეთ 25 თებერვლის წინ-სწრებულ კონკრეტულ ფაქტებს და ათასგვარ გაუგებრობებს, რომელიც აუცილებელი თანამგზავრია ყოველი დიდი ისტორიული ჭიდილის გადატეხის პროცესში, მაშინ ხელიდან გამოგვეცლება ის ობიექტიური საზომიც, რომელიც მხოლოდ პოლიტიკურად გონიერს და შორს მჭვრეტელს მოაზროვნეს შეუძლია.

ჩვენთვის 25 თებერვალს აქვს დიდი ისტორიული ღირებულება სწორედ იმიტომ, რომ მას ჩამოვაცალეთ სუბიექტიური სახე და ამ ფაქტს სოციალური პროგრესისა და ეროვნული განვითარების თვალსაზრისით მივუდექით. ამ დატით კი აღინიშნება ქართველ მუშათა კლასის კლასობრივ შეგნების გარდატეხა რევოლიუციის სასარგებლოდ. ამ დღიდან დაიწყო დაწმენდა მისი სულიერ-ეთიკური ტრადიციებისა მუშათა ინტერესებისა და საერთაშორისო რევოლიუციის სასარგებლოდ.

25 თებერვალმა, გაავლო მიჯნა ორ საქართველოს შორის: ბურჟუაზიული შოვინისტური საქართველო ანტანტა—ერთა ლიგის ფარგლებში აღმოჩნდა საბოლოოდ. თუ ოპორტუნისტული სოციალ-დემოკრატია, რომელიც იყო ამავე დროს მესაჭე ბურჟუაზიულ-მემამულური სახელმწიფოსი, 25 თებერვლამდის მოსცვობდა თვის ნამდვილი სახის გამოჩენას და ჩრდილით დაიარებოდა, 25 თებერვლიდან მან ეს პირბადე საბოლოოდ ჩამოიხსნა და ბრიან-ლოიდ ჯორჯებისაგან მათთვის კორიდორებში გამზადებულ სუფრას მოუსხდა. საქ. მუშათა და გლეხთათვის ამ მხრით 25 თებერვალს აქვს დიდი ღირებულება. სოციალ-დემოკრატიის მახინჯი სახე, პირბადით დაფარული, მრავალ მუშას გაუგებრობის უფსკრულში ჩახავდა: იქნებ ამ ჩადრის ქვეშ მართლადაც ლამაზი სახე იფარებოდა—ფიქრობდა 1905 წლის რევოლიუციის გავლენისა და მოგონებებით დატვირთული მშრომელი.

ამ რიგად საქართველო მომავალი, საქართველო ახალი და მუშათა კლასის სამკვიდრო აღმოჩნდა მიჯნის გაღმოლმა—რევოლიუციის ფრონტზე და ამიტომაც საბჭოთა სახელმწიფოების კონფედერაციაში. ამ ფაქტს კი დიდი ფასი

აქვს არა მარტო ქართველი მუშის გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებისათვის; ამ დღიდან იგი დაუკავშირდა ისეთ ძალას, რომლისაგანაც დამოკიდებულია ქართველი მშრომელის ეროვნულ-სოციალური credo-ს განაღდება. 25 თებერვალი საბედისწეროა ჩვენი ქვეყნის ბურჟუაზიულ-რეფორმისტული ელემენტებისათვის, მაგრამ 25 თებერვალი დადებითაც სწყვეტს იმ გაშმაგებულ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებს დღეს მუშათა კლასი საერთაშორისო მაშტაბით. ტრაგიკული იყო ჩვენი მდგომარეობა ეროვნული თვალსაზრისით მენშევიკების ბატონობის დროს. ჩვენ არ გვყავდა სინამდვილეში მოკავშირე, რომელსაც შესძლებოდა საბედისწერო სასწორიდან ჩამოედო ქართველი ერის და მოდგმის მომავალი. საერთაშორისო „იმპერიალისტური" ბურჟუაზიისათვის არასოდეს არ იდგა საკითხი პატარა ერთა არსებობა—განვითარების სამართლიანობისა და სოლიდარობის ფარგლებში თვით მოკავშირეთადმიც კი. და აკი მენშევიკური ძალა-უფლება მიტოვებული აღმოჩნდა იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილის დროს, რომელიც 25 თებერვალს უსწრებდა. ქართველი ერის ერთად-ერთი ხსნა მხოლოდ სოციალიზმში არის იმიტომაც, რომ მის ფიზიკურ მეს არ ძალუძს იმპერიალისტურ სვავების გამკლავება და რამდენად სოციალიზმის განხორციელების დრო შორეული მყობადის საკითხად დაისმება, იმდენად ქართველი ერის არსებობა-სიცოცხლე იქვისა და გადაშენების კითხვის ქვეშ მოიქცევა, იმდენად ჟამი ჩვენი ერის დადუპვისა მოახლოვდება.

ამიტომ ჩვენ ვამბობთ: საბჭოთა სახელმწიფოების რკალში საქართველოს მოქცევა იმავე დროს არის მისი ეროვნული ორგანიზმის დახსნა ისტორიის უსამართლო განაჩენისაგან, მისი ფიზიკური გადაგვარებისაგან. მართალია არსებობს უარყოფითი მოვლენები ამ ერთი წლის საბჭოთა მთავრობის მუშაობაში ჩვენი ეროვნული საქმის მოწესრიგების თვალსაზრისის მიხედვით, მაგრამ ეს ფაქტები შესწორებასა და გამართლებას უცდის და ვერ ამათილებს 25 თებერვლის აქტის ეროვნულ მაიშვნელობას ობიექტიური ტენდენციის მიხედვით.

ამრიგად საბჭოთა სახელმწიფოს დამყარება მიუდგომელს მსაჯულს აუცილებლად მისცემს შეურყეველ რწმენას ეროვნული სხეულის გადარჩენისა და განახლებული ნაციონალური სულის შემოქმედებისათვის.

25 თებერვალს მუშათა და გლეხთა ხელში გადავიდა სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება, ხოლო ამ ძალა-უფლების საშუალებით ამან ხელთ იგდო ხელმძღვანელობა სოციალ-ეკონომიური ვითარებისა მთელ საქართველოში. დღეს საქართველოში ბრძანებლობს მშრომელი ხალხი და ეკონომიკის ტონის მიმცემიც იგია.

მთელი ჩვენი მუშათა კლასის ენერგია დაიხარჯება იმ სიკეთის შენარჩუნებისათვის, რომელიც ისტორიის მსვლელობამ მას მიანიჭა. ამის დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომ წლის თავზე 25 თებერვალს მთელი საბჭოთა საქართველოს უზენაესი ორგანო შეიკრიბა და ამ ბრძოლას ჩამოყალიბებულს ორგანიზაციულ სახეს აძლევს. ეს ორგანოა საქართველოს საბჭოების ყრილობა.

ეფ. ხაჩინთელი.

## წლის თავი

გასული წლის 25 თებერვალს საქართველოს დედა-ქალაქში შემოვიდა რუსეთის წითელი არმია. მრავალის მნახველმა ტფილისმა, კიდევ ერთი ახალი ძალა იხილა.

25 თებერვალი რადიკალური გადატეხის ხანაა ჩვენს ცხოვრებაში. ამ დღიდან ახალი ერა იწყება საქართველოს ისტორიაში.

თებერვლის მოვლენათა კვალიფიკაცია მენშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობად იქნა ცნობილი, ბოლშევიკებმა კი თებერვლის ამბების სახელმწიფოებრივი გადატრიალება უწოდა.

ჩვენთვის დღეს არ არის საინტერესო იმის გამოკვლევა თუ როგორ პასუხს გასცემს ამ ქართველი ერის მიუდგომელი ისტორია. ჩვენთვის ამ შემთხვევაში საჭიროა რეალური შედეგების შეფასება და არა ისტორიის მსჯავრი.

ორ ძალთა ბრძოლის დროს ჩვენი ამხანაგები ზავისათვის მუშაობდნენ და ზარბაზნთა გრგვინვის შეჩერება სურდათ ორ ბანაკს შორის. მათთვის აშკარა იყო, რომ ტფილისის დატოვების შემდეგ [illegible] აზრი არ ქონდა და სულ სხვა [illegible] ფრონტი იშლებოდა ჩვენს წინაშე.

საქართველოს მტრები, სომხისა და რუსის შოვინისტები ცდილობდნენ თებერვლის ამბების გამოყენებას და კვლავ იმ საზრდის მოძებნას, რაც დააკმაყოფილებდა მათ ბინძურ სულისკვეთებას. ერის წინაშე მოვალეობა მოითხოვდა ეროვნული პარტიის გარკვეულ ხმას და ჩვენმა ამხანაგებმა პირველ სიტყვით მიმართეს ქართველ ერს, როდესაც ერთი მხრივ მიმავალი, ბატონობა დაკარგულ მენშევიკური ძალა გზა და გზა ანადგურებდა ქვეყანას, ხოლო მეორე მხრივ მომავალი ბოლშევიკური ძალა განაგრძობდა წინ მსვლელობას.

ერის კრიტიკულ მომენტში უნდა აღმოჩენილიყო ხმა ეროვნული პარტიისა და ეს ასედაც მოხდა.

ჩვენი ამხანაგები მთელი რიგი მოთხოვნილებებით წარუდგა რევოლიუციონურ კომიტეტს. და პირველ დღეებშივე ბოლშევიკურმა ძალამ სცნო საქართველოს სუვერენობა.

მას შემდეგ რუსეთის წითელი არმია ბათომის ნავთსადგურსაც ესტუმრა და საქართველო მთლიანად ბოლშევიკურ ბატონობის ორბიტაში მოექცა.

დღეს როდესაც ერთი წელი სრულდება ამ ისტორიულ ფაქტს შემდეგ, ქართველ ხალხს ნება აქვს ანგარიში მოსთხოვოს დღევანდელ ხელისუფლებას.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ რევკომების სისტემით წარმოებული პოლიტიკა არ შეიძლებოდა ყოფილიყო მიზანშეწონილი და დამაკმაყოფილებელი. ამიტომ წასულ წელს ჩვენ ვცდილობდით შავი მუშის როლი გვეკისრნა და ჩვენი ხელით გვემუშავნა ერის უფლებათა დასაცავად, ამასთან ერთად არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ეროვნული პოლიტიკის სფეროში ბოლშევიკური ძალა იჩენდა დიდ შეცდომებს, გაურკვევლობას და ხშირად შეუფერებელი ნაბიჯების გადადგმით ხელს უწყობდა გაუგებრობების აღმოცენებას, რაც ქმნიდა ხელისუფლების საწინააღმდეგო სულისკვეთებას.

ჩვენ თავის დროზედ აღვნიშნეთ, რომ ბოლშევიკურმა ძალამ მთელი რიგი დიდი საკითხებისა გადასწყვიტა აჩქარებით და დროებით შექმნილმა ინსტიტუტმა, რევ. კომიტეტმა, ფრიად გააფართოვა თავისი უფლებები.

გასული წლის თებერვალში გაცემული თამასუქის, საქართველოს სუვერენულ უფლებათა აღიარების რეალიზაცია ბოლშევიკურმა ძალამ ვერ დაიცვა მტკიცედ და ურყევლად.

ერთი წელი სრულიად საკმაო იყო დაწესებულებათა სრული ნაციონალიზაციისათვის, მაგრამ დღესაც ჩვენს დაწესებულებებში რუსული ენა ბატონობს და უცხო ენის გაბატონება ანორმალურ ხასიათს აძლევს მთელ სახელმწიფოებრივ მუშაობას.

საზღვრების საკითხს, რომელიც ერთი უმთავრესი საკითხია საქართველოსათვის, ვერ არის თავის დონეზე დაყენებული. რკინის გზის, პროფ-კავშირებისა და სხვათა გაერთიანება მოხდა სრულიად მიზანშეუწონლად.

ყოველივე ეს საკითხები ჩვენი პრესის მიერ გარჩეულ იქმნა და ყოველი საკითხი განხილული იყო საქართველოს მშრომელთა [illegible] თვალსაზრისით.

ჩვენ ერთად ვიყავით ბოლშევიკებთან საგარეო პოლიტიკის გზებში, ჩვენ ერთად ვიყავით იქაც, სადაც საჭირო იყო მუშაობა ქართველ ხალხის კეთილდღეობისათვის. ჩვენ ვიბრძოდით ყველგან, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო ბედი ერის უფლებათა და მშრომელის ინტერესთა. მაგრამ ჩვენ კარგად გვესმოდა ისიც, რომ ხშირად საკითხი წყდებოდა არა ჩვენდა სასარგებლოდ.

შეიძლება პარტიას შეგნებული ქონდეს საერთაშორისო მდგომარეობა სისწორით.

შეიძლება პარტია ნათლად სახავდეს პოლიტიკურ ნიუანსებს საერთაშორისო მაშტაბში, მაგრამ შეიძლება იგივე პარტია ხშირად სცოდავდეს პრაქტიკული პოლიტიკის სფეროში. ასეთი შეცოდებანი კი მრავლად იყო დაშვებული გასულ წელს.

მაგრამ დღეს საქართველოს საბჭოთა ყრილობა შეიკრიბა და ახალ ხანას დაიწყებს იგი საქართველოს ისტორიაში. ჩვენც მივდივართ ამ ყრილობაზე განსაზღვრული მიზნებით და განსაკუთრებული პლატფორმით.

ჩვენ მტკიცედ ვდგავართ საბჭოთა სისტემისა და რევოლიუციის ორიენტაციის ნიადაგზე. ჩვენ შეძლების და გვარად გავიღებთ წვლილს კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. ჩვენ უკანასკნელ წუთამდე ვიბრძოლებთ რევოლიუციის რიგებში, მაგრამ ერთ თამასუქს მივთხოვთ ბოლშევიკურ მთავრობას: მან ანგარიში უნდა გაუწიოს საქართველოს სუვერენულ უფლებას. მტკიცედ უნდა დაიცვას ეროვნული პოლიტიკის გზაზე და უნდა უარყოს სავსებით ეროვნული ნიჰილიზმი.

ჩვენ არავის ვაპატიებთ ქართველი ერის უფლებათა შელახვას.

ჩვენი პარტია ერთი წუთითაც კი არ დაივიწყებს მრავალ-ტანჯულ საქართველოს ინტერესებს.

ნურვინ იფიქრებს, რომ რომელიმე ძალა დამკვიდრდეს საქართველოში, რომელიც პატივით არ მოეპყრობა ერის ენას, მის უფლებებს, მის თავმოყვარეობას.

დღეს საქართველოს ყრილობა შეიკრიბება და სახელმწიფო ნორმალურ ცხოვრებას შეუდგება.

ჩვენ მივდივართ ამ ყრილობისაკენ არა ხელის შეშლისათვის, არამედ დახმარებისათვის. ჩვენ მივდივართ ყრილობისაკენ არა ქართველი ერის უფლებათა შეზღუდვისათვის არამედ მისი სუვერენობის სამსახურისათვის. ჩვენ მივდივართ ყრილობისაკენ არა მარტო საქართველოს მშრომელის ეკონომიური უზრუნველყოფისათვის, არამედ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების გამტკიცებისათვისაც. როგორც მუდამ, ისე დღესაც დარაჯად დავდგებით საქართველოს მშრომელთა ინტერესებს და ჩვენ ენერგიას შევწირავთ მისი კეთილდღეობის სამსხვერპლოზე.

ს. ე—ლი.

---

**ჩვენ, ველიკორუსული მუშები, აღვსილნი ეროვნულ სიამაყის გრძნობით, გვინდა რაც არ უნდა იყოს თავისუფალი, დამოუკიდებელი, რესპუბლიკანური, ამაყი ველიკორუსეთი, რომელიც ააგებს თავის დამოკიდებულებას მეზობლებთან თანასწორობის კაცობრიულ პრინციპზე და არა ბატონყმურ პრივილეგიების პრინციპზე, რომელიც არცხვენს დიდებულ ერს. 1914 წ. 12 დეკემბერი.**

**ლენინი.**

---

## ახალი ეპოქის დასაწყისი

მშრომელთა კლასის დიქტატურის ხანაში ორი მომენტია აღსანიშნავი პირველი—როდესაც მშრომელი ხალხი პოლიტიკურ ძალა-უფლებას იღებს ხელში და ქმნის პირობას ბატონობის განმტკიცებისათვის მეორე: პირობათა მომზადების, პოლიტიკური საჭის ხელში ჩაგდების შემდეგ იგი იწყებს კლასიურ დიქტატურის საფუძვლების შენებას, მის საბოლოო, მუდმივ ფორმაში ჩამოყალიბებას. პირველი მომენტი რევოლიუციონური კომიტეტების, ანუ რევკომების ბატონობას, მშრომელთა კლასის წინარიგებიდან გამოსულ მებრძოლ რაინდთა პოლიტიკური დიქტატურის პერიოდია. ამ შემთხვევაში ფართო რევოლიუციონური მასსა არ სჩანს პოლიტიკურ ცხოვრების სარბიელზე. იგი აძლევს საკუთარ ბატონობის იარაღს მოძრაობის მეთაურებს, ბელადებს და ეს უკანასკნელიც იყვნენ სახელმწიფოებრივ აპარატებს მშრომელი ხალხის დიქტატურის ჩამოსხმის სასარგებლოდ.

ამ რიგად, სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის რევკომული სისტემა უშუალო შედეგია მუშათა კლასის გაბატონების. რევოლიუციის გაღრმავება, არსებულ კაპიტალისტურ წესწყობილების, ბიუროკრატიულ რეჟიმის სოციალისტურად შექმნა, კომუნისტურ ყაიდაზე გარდაქმნა თავის დასაწყისში აუცილებლად ჰგულისხმობს რევკომული წესების შემოღებას. რუსეთის რევოლიუციის პროლეტარულ ნიადაგზე დაყენების პირველი თვეების ისტორია იძლევა ამის საუცხოვო ილიუსტრაციას რევკომების მოღვაწეობას დიდი სამსახური მიუძღვის მშრომელთა კლასის ბატონობის და რევოლიუციის შემდეგი განვითარების საქმის წინაშე.

უფრო რთული თავისი მიზნებით და დიადი დანიშნულებით მეორე მომენტი—საბჭოთა რეჟიმი, საბჭოთა სისტემა, ე. ი. მშრომელთა კლასის დიქტატურის ისეთი ფორმა, როდესაც ეროვნულ სოციალისტურ სახელმწიფოს სახეებს და შინაარს ქმნის თვით მშრომელი მასსა, სოფლის და ქალაქის მუშა პირდაპირ საკუთარის ხელით, უშუალოთ. სოციალისტური აღმშენებლობისათვის ბრძოლა მშრომელთა საბჭოების შექმნით იწყება.

ცხოვრების ევოლიუციამ და რევოლიუციონური ბრძოლის პრაქტიკამ ერთიანად უკუაგდო სოციალისტური ბრძოლის პარლამენტარული მეთოდი. დემოკრატიზმმა და მისმა ფორმამ—პარლამენტარიზმმა განვლეს განვითარების საფეხურები. პარლამენტარიზმი არ არის ერთად ერთი სწორი გზა შრომის სამეფოსაკენ მიმართული, იგი კონკრეტად რომ ვსთქვათ, ძლიერი ბურჟუაზიის „პოლიტიკური იდეოლოგია. ამისი მაგალითია მთელი ჩვენი წარსული, საერთაშორისო მშრომელთა კლასის სოციალისტური მოძრაობის ისტორია, „დემოკრატიულ" ქვეყნების ცოცხალი სურათები. ამიტომ სოციალისტურ რევოლიუციაში მშრომელი ხალხი უარყოფს პარლამენტარულ რეჟიმს, როგორც პოლიტიკური ლონისძიებას ბურჟუაზიული საზოგადოების განიერ ბჟეების საბოლოოდ დარღვევისა და განადგურების საქმეში.

საქართველოს გლეხ-კაცობას ახსოვს „დემოკრატიული რესპუბლიკა", „დემოკრატიული" პარლამენტი. რა იყო მაშინ სხვა, თუ არა ბურჟუაზიის განუსაზღვრელი ფარგლებში ჩვენი ქვეყნის მიდამოებში! „სოციალისტური" მთავრობის გულისყური, მთელი ცდა და ღონისძიება უმთავრესად მიმართული იყო არა მშრომელი ხალხის პოლიტიკური ბატონობის დამყარების, საზოგადოებრივი წარმოების და საერთო ეროვნულ-სოციალისტური პოლიტიკის წარმოებისაკენ, არამედ წარმოების კაპიტალისტურ სისტემის, მშრომელი ხალხის პოლიტიკურ ასპარეზიდან განდევნის, ახალგაზრდა ეროვნული ბურჟუაზიის გაძლიერების და ჩვენი უცხო კაპიტალის განუსაზღვრელი ფარგლებისაკენ. ევროპის კაპიტალისტები აღგვიდნენ ჩვენი ქვეყნის უამრავ ბუნებრივ სიმდიდრის ექსპლოატაციას, იმოცევდნენ სახელმწიფო საკუთარ რესურსებისაგან, მშრომელი ხალხიც გამხადებული იყო უცხოელ მოიჯარადის რკინის ბრჭყალებში მოსამწყვდევად. საქართველოს არაფერი აკავშირებდა რუსეთის რევოლიუციის ცეცხლთან, ქართველი „დემოკრატია" მთლიანად ანტანტის ორბიტაში მოექცა, უფრო სიტყვით, საქართველო ასცდა საკუთარ ლიანდაგს და მიიღო ტრაგიკული სახე ანტანტის კოლონიის. ყოველივე ეს ლოღიკურად გამომდინარე მოვლენები იყო „დემოკრატიზმის" და პარლამენტარიზმის შინაარსისაგან.

დღეიდან იწყება ახალი ერა საქართველოს მშრომელი ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეძლევა საწყისი ჩვენი ერის ისტორიაში ახალ ხანას, ახალ პერიოდს. ამიერიდან ქართველი მუშა-მშრომელი თვითონ შეუდგა საკუთარ ცხოვრების მოწყობას, იგი ყოველგვარ ზეგავლენის გარეშე ქმნის ბრძოლის ისტორიის ახალ ფურცლებს. განწმენდილი, ოპორტუნისტების რეფორმისტულ სულისკვეთებით გაყალბებული „უშუალო დემოკრატიის იდეა" და მშრომელი ხალხის „უშუალო ბატონობის პრინციპი" დღეს ისხამს ხორცს, დღეს ხდება ცხოვრებაში, თეორიის და ფრაზების სამყაროდან ჩამოდის პრაქტიკის „სამეფოში, „ცოდვილ ქვეყანაში".

საქართველოს საბჭოების პირველ ყრილობაში არ ექნება ადგილი მუქთახორებს, საზოგადოების ზედ მეტ ბარგებს, პარაზიტ და არა მშრომელ ელემენტებს. ეს დამახასიათებელი თვისებაა მშრომელთა დიქტატურის, ნიშანდობლივი მხოლოდ ნამდვილ სოციალისტურ სახელმწიფოს, საბჭოთა რესპუბლიკის.

რევკომული სისტემა უკანასკნელ საფეხურსაც უთმობს მშრომელთა საბჭოებს, მშრომელი მასსა თვითონ უპატრონდება თავის თავს და იმარჯვებს. ხელში რესპუბლიკის უზენაეს ორგანოებს, დაწყებულ ბრძოლის დასასრულებელ იარაღებს.

მეტად მძიმე და რთულ ისტორიულ პირობებში უხდება საბჭოთა საქართველოს სოციალისტური მშენებლობა ჩვენს მშრომელთა კლასს. მძიმეა ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა, დახლართულია ეროვნულ შემოქმედების ძაფები. მას უხდება სამ ფრონტზე მუშაობა: ეროვნულს, ეკონომიურს და საერთაშორისოზე. ან სიკვდილი, ან გამარჯვება და ახალი პოზიციების გამაგრება—აი დევიზი, რომელსაც ამიერიდან წითელი ასოებით წააწერს ჩვენს ეროვნულ-სოციალისტურ დროშაზე საბჭოების პირველი ყრილობა.

გ. მუშიშვილი.

## 25 თებერვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს [illegible] დიადი და ღირსშესანიშნავი [illegible] უყოფილა, მაგრამ [illegible] ლოსათვის არც ერთი ეს დღეები თავისი სიდიადით არ შეედრება 25 თებერვალს. ამ დღეს საქართველოს მშრომელი მასსა პირველად გამოდის მტკიცე ნებისყოფით შეკავშირებულ საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე, როგორც სრული ბატონ-პატრონი მთელი საქართველოსა და იღებს ხელში საჭეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობისას.

სოციალიზმისა და რევოლიუციის მტრებმა ბევრს ეცადნენ, რათა ხელი შეეშალათ საქართველოში მშრომელთა ძალა-უფლების განმტკიცებისათვის. ბევრი ბრძოლა და ენერგია, ბევრი საქართველოდან გაზიდული ოქრო და და ბრილიანტები დაიხარჯა, რათა საქართველოში საერთო აჯანყება გამოეწვიათ და ამით საშუალოთ დაემხობინათ მშრომელთა ბატონობა, მაგრამ მათი ცდა სასაცილოდ დამთავრდა. და საერთო აჯანყების მაგივრად, ძიიდეს მხოლოდ მოსატყუებელ მცირე-წლოვანთა პატარა-პატარა გამოსვლები. საქართველოს პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა კი არ აჰყოლია სოციალიზმის მტრების მოღალატურ პოლიტიკას, ის მტკიცედ და ურყევად იდგა და სდგას თავის პოზიციებზე და აჯანყების ნაცვლად აზეიმებდა შრომის ბატონობის დღესასწაულს 25 თებერვალს.

და დღეს მაინც, როდესაც საქართველოს პროლეტარიატის მეთაურობით მშრომელი საქართველო სახელმწიფოს მართვა-გამგეობას ჰკიდებს ხელს და მთელი ქვეყნის გასაგონად აცხადებს, რომ რევოლიუცია და სოციალიზმი მისთვის სიცოცხლისა საკითხები არის, რომ ის სდგას მშრომელთა ბატონობის პლატფორმაზე და სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლას უცხადებს ყველა რევოლიუციისა, სოციალიზმის და მშრომელთა ძალა-უფლების მტრებს, დღეს მაინც, როდესაც ქართველი მუშა თავისი კოჟრიანი ხელით უკანასკნელ მიწას „დააყრის" საქართველოში კაპიტალის ბატონობის საფლავს, მიხვდნენ მენშევიკები და ყველა მათი ამყოლ-დამყოლები, რომ თვით გაქნილ და გაიძვერა ანტანტის თვალშიაც კი არაფერი ფასი აღარ ექნება მათგან საქართველოს სახელით ვაჭრობას, ვინაიდან ანტანტა არც ისე ბრიყვია, რომ ვერ მიხვდეს თუ ვინ არის დღეს საქართველოს პატრონი, ვერ „მიხვდეს რომ მშრომელი საქართველო არავის მისცემს ნებას საქართველოს სახელით ვაჭრობისას.

იცოდნენ რევოლიუციის დეზერტირებმა და ცრუ სოციალისტებმა, რომელიც რევოლიუციის გამარჯვებისა და სოციალიზმის დამყარებისათვის ბრძოლის მაგივრად სტამბოლს და პარიზის ქუჩებში დაეხეტებიან და ყველა გამვლელ-გამომვლელს შველას სთხოვენ რევოლიუციისა და სოციალიზმის დასამარებლად, რომ მენშევიკურ-ბურჟუაზიული საქართველო უკვე მოკვდა, რომ იშვა ახალი წითელი საქართველო, რომელიც ერთი წლის განმავლობაში ზღაპრული გმირობით უკვე დაგვამტკიცა, დღეს 25 თებერვალს თავისი თავი სრულწლოვანად გამოაცხადა და მთელი ქვეყნიერების გასაგონად აცხადებს, რომ მისი „ოპეკუნობის" უფლება არავის არა აქვს, რომ ის თვით არის თავისი ბატონ-პატრონი, რომ ის მტკიცედ სდგას რევოლიუციონურ ქვეყნების რიგებში და იბრძვის მათთან ერთად სოციალისტური იდეების გამარჯვებისთვის.

დღეს მთელი საქართველოს წარმომადგენლები, რევოლიუციისა და სოციალიზმის საუკეთესო და ნამდვილი მოღვაწენი საქართველოს წითელ საბჭოთა პირველ ყრილობის სახით დაადასტურებენ საქართველოში საბჭოთა ძალა-უფლებას და ამიერიდან ბოლო უნდა მოეღოს ყოველნაირ მითქმა მოთქმას, თითქოს საქართველოს მშრომელ მასსას ძალით ახვევდნენ თავზე საბჭოთა ბატონობის სისტემას, მშრომელთა ძალა-უფლებას.

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა პირველ წითელ ყრილობას!

გაუმარჯოს მშრომელთა დიქტატურას!

გაუმარჯოს რევოლიუციას და სოციალიზმს!

ბ. გ—ა.

# ახალი ამბები

— ბავშვების აღზრდა. ამ ჟამად ტფილისში არის 18 საბავშვო ბაღი, 10 საბავშვო სახლი და ერთი შკოლა-კლუბი, რომლებშიაც იზრდება 2147 ბავშვი ორივე სქესისა; ამათგან 1123 ბავშვი სახლში, რომლებიც იმყოფებიან სრულ სახელმწიფო ხარჯზე და გარდა ტანსაცმელ-ფეხსაცმელისა იღებენ სრულ ულუფას. 1 გ. პური, ტკბილი ჩაი, საუზმე, სადილი ორი თავით, ვახშამი და რძე. 106 ბავშვი სკოლა-კლუბისა იღებენ იმავე საკვებს, როგორსაც საბავშვო სახლებში. 7118 ბავშვი საბავშვო ბაღისა იღებენ ყოველდღე 1 მეოთხედ გირ. პურს, ტკბილი ჩაის და რძეს.

— მთლიანი შრომის სკოლა. ტფილისის ქალაქის სახალხო განათლების განყოფილების განკარგულებაში არის 100 მთლიანი შრომის სკოლა 26,780 მოსწავლით და 2100 კაცი პედაგოგიური პერსონალით და სკოლისათვის საჭირო მსახურებით.

— მინდვრების დასათესათ. მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატთან შეთანხმებით გაერთიანებული სავაჭრო-ვაჭრობის მიერ ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში შეკვეთილია 20.000 ფუთი სათესლე საქართველოს ყანების დასათესათ, იმ ვალდებულებებით, რომ სიმინდი გზნსაზღვრულ ვადაში იქმნეს მოტანილი ბათომის ნავთსადგურში.

— მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის მიერ ბათომში ჩამოტანილი 50.000 ფ. ავსტრალიის სათესლე ხორბლის ადგილობივ ხორბალზე გადაცვლის წინადადებას იძლევა მინდვრის დასათესათ, რადგან არ არის გამორკვეული ავსტრალიის ხორბლის საქართველოში დათესვა არის თუ არა გამოსადეგი.

— 25 თებერვლის დღესასწაული. საქართველოში საბჭოთა წესწყობილების დამყარების წლის თავი—25 თებერვალი—შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დღესასწაულად არის გამოცხადებული.

— კრედიტი ეპიდემიასთან ბრძოლისათვის. საქ. რევკომმა დაადგინა გაეხსნას სახ. ჯანმრთელობის კომისარიატს 1 მილიარდი მან. კრედიტი ეპიდემიასთან საბრძოლველად.

— შრომის უნარის მქონეთა აღწერისათვის. საქ. რევკომმა წინადადებით მიმართა სახ. ფინ. კომ. რათა ამ უკანასკნელმა გაუხსნას 200 მილიარდი კრედიტი შრომის სახ. კომისარიატს შრომის უნარის მქონეთა აღწერის საჭიროებისათვის.

# პარტიაში

დღეს, თებერვლის 25-ს „ტრიბუნას" რედაქციაში 10 საათზე დანიშნულია საგანგებო შეერთებული სხდომა მთავარ კომიტეტის და სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობის ფრაქციისა. ტფილისის და პროვინციიდან ჩამოსულ დეპუტატების დასწრება სავალდებულოა. ამხანაგებს ვთხოვთ აღნიშნულ დროზე გამოცხადდენ რედაქციაში.

# პატარა ფელეტონი

## 25 თებერვალი

**საქ. საბჭოთა ყრილობას.**

თუ ვერი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები.

**საქ. რევკომს.**

იგა წავა და სხვა მოვა ტფურფასა საბალნაროსა.

**ფინანსთა კომისარიატს.**

რომელმან შექმნა ფულები ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო ბანი მრავლად ჰყვნა, ხელითა მონაბერითა,
ჩვენ კაცთა მოგვცა ისინი, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოველი მშიერი სახითა მის მიერითა.

**შრომის კომისარიატს.**

მიწერ-მოწერა, დავთრები რა ძნელი საქმე გგონია?
სჯობს ქვეყანასა უჩვენე შრომანი საგმირონია.

**მომარაგების კომისარიატს.**

სმა-ჭამა დიდათ შესარგი, დება რა საცვარგელია,
რასაცა შეჭამ შენია, რაც არა დაკარგულია.

—

გული კრულია კაცისა ხარბი და გაუძღომელი...

**გარეშე საქმეთა კომისარიატს.**

ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.

**შინაგან საქმეთა კომისარიატს.**

მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომელ კაცი თავსა ივნებს.

**ჩეკას.**

კაცსა ღმერთი არ გასწირავს ასრე შენგან განაწირსა.

—

თავსა აბლად ვერვინ იშობს.

**ქართველ ხალხს.**

შენი შენებრ ვინ რა იცის, რა გამწარებს, რა გაკპბუნებს,
ფლ დთა კაცთა საუბარი გულსა მეტად დაამეჭუნებს.

—

არას გარგებს სიმძიმილი, უსარგებლო ცრემლთა დენა...

**სიმშილს.**

ვერ დაიჭირავს სიმშილსა გზა ვიწრო ვერცა კლდოვანი,
მისგან ყოველი გასწორდეს სუსტი და ძალ-გულოვანი,
ბოლოს შეჰყარნეს სიმშილმან ერთად მოყმე და მცხოვანი,
სჯობს სიცოცხლესა დამშეულს, სიკვდილი მაძღაროვანი.

**კომუნისტებს.**

კოკასა შიგან რაცა სდგას იგივე წარმოსდინდების.

**მენშევიკებს.**

საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხდების,
ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა იისხვით მოუქუხდების.

**მემარჯვენე ფედერალისტებს**

კაცმა საქმე მოაგვაროს, ვეჰ, მემუნავსა ეგე სჯობდეს.

**ჩვენს პარტიას.**

რა მისჭირდეს მაშინ უნდა გონებანი გონივრისა.

**პარტიულ ამხანაგებს.**

დიდთა რას ვიქნევ ლაშქართა, კარგი გვინდა და ცოტანი.

**საქართველოს.**

გონივრი ხამს როდეს არ აჩქარდეს, რაცა სჯობდეს მოაგვაროს, საწუთროსა დაუწუნარდეს.

**დემონსტრანტებს.**

წყლულსა დანა ვერა ჰკურნებს, გაჰკვეთს, ანუ გაამსივნებს.

**ზოგიერთ მოღვაწეს.**

არა მართებს ყვავსა ვარდი, ვირსა რქანი.

**ახალმთიის თრატორებს.**

არ-სასმენლისა მოსმენა არს უმჯობესი წამხისა.

**ჩვენ კორექტორებს.**

სჯობს უყოლობა კაცისა თქვენისთანების ყოლასა.

Ser.

# რუსეთი

როსტოვი. 16 თებ. დიდი ცდის და მედგარი მუშაობის შემდეგ ლიკვიდაცია უყვეს ცნობილ ბანდიტ ქუბოვსკის რაზმს, რომელმაც როსტოვსა და ნახიჩევანში მოახდინა მთელი რიგი დარბევათა.

როსტოვი. 16 თებ. ნოვოროსიის ელევატორს ამ ჟამად შეუძლია მიიღოს 70 ვაგონი ამერიკული პური ყოველ დღე. 22 თებერვლიდან მიღება აწეული იქნება 140 ვაგონამდე დღე-ღამეში.

ეკატერინოდარი 14 თებ. დამთავრდა ბანდიტიზმთან მებრძოლთა ყრილობა, რომელმაც გამოიმუშავა მთელი რიგი წესები ბრძოლის ორგანიზაციისა, ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებული.

როსტოვი 16 თებ. ნოვოჩერკასში უმაღლეს სასწავლებლის ძარცვამ მიიღო ეპიდემიური ხასიათი. სავეტერინარო ინსტიტუტი გაძარცულ იქმნა 15 ჯერ, პოლიტექნიკუმი 9 ჯერ, ჰიდრო-ქიმიკური ინსტიტუტი გაძარცულია 500 მილ. მანეთით.

# უცხოეთი

ნაუენი, თებ. 22. „მანჩესტერ გარდიენი" აღნიშნავს ხმებს რუსეთ-საფრანგეთის მოლაპარაკების შესახებ და საფრანგეთის ცდა პოლონეთში გაძლიერებისათვის. ორგანო აღნიშნავს, რომ ამ ხმებში საკვირველი არაფერია. საფრანგეთი რუსეთთან კავშირით არაფერს არ დაკარგავს, პირიქით იგი დიდად მოიგებს. პოლიტიკური ინტერესები ორივე მხარისა მოითხოვს შეთანხმებას ამა თუ იმ ფორმებში.

ბოროდო, თებ. 22. რომიდან გვატყობინებენ, რომ მოლაპარაკება სწარმოებს ათინასა და სოფიას შორის ბალკანის ახალი კავშირის შექმნისათვის იტალიის მეთაურობით.

პარიზი, თებ. 22. „ტროკადეროს" დიდ დარბაზში ნანსენმა გააკეთა მოხსენება, რომელშიაც დახასიათა რუსეთის მდგომარეობა. ნანსენმა აღნიშნა, რომ 12 მილიონი სული სიმშილის მსხვერპლი გახდება თუ დროზე არ იქნა დახმარება ევროპისაგან მიწოდებული.

პარიზი, თებ. 22. ბურმანთა სასახლეში შესდგა თათბირი რუსეთის დახმარების შესახებ. ბრუსონმა შეაფასა ნანსენისა და ნულანსის მუშაობა და აღნიშნა, რომ ნულანსის მუშაობა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. პუანკარემ განაცხადა, რომ საფრანგეთის დახმარების დაგვიანება აიხსნება რუსეთის წარმომადგენელთა შეუთანხმებლობით. რაც შეეხება პროდუქტების დამზადებას, ამისათვის მიღებულია ყოველგვარი ზომები.

ბორდო თებ. 22. პუანკარემ დეპუტატთა პალატაში განაცხადა, რომ საფრანგეთის ჩვენი დახმარება რუსეთის დამშეულთა მიმართ არ ნიშნავს საბჭოთა რუსეთის ოფიციალურად ცნობის შესაძლებლობას.

რომი 22 თებ. „ტანი" გვაცნობებს, რომ საფრანგეთის მთავრობამ აუწყა იტალიის მთავრობას, რომ 8 მარტისათვის გენუას კონფერენციის შეკრება მოუხერხებელია.

რომი, თებ. 22, იტალიის ელჩმა ვენაში მიიღო ავსტრო ჰუნგრეთის ბანკისაგან 4 მილ. კრონი ოქროთი, რომელიც საკონტრიბუციო კომისიამ არგუნა იტალიას.

განოვერი, თებ. 22. მანსფელდის ნახშირის ძალაროებში იფეთქა მუშათა გაფიცვამ.

რომი, თებ. 22, ავსტრიის ფინანსიური დახმარების კითხვა საბოლოოდ გადაწყვეტილია დადებითად. საერთაშორისო სესხიდან ავსტრიას ერგება: ინგლისისაგან 3 მილ. გირ. სტ.; იტალიისაგან 70 მილ. ლირა; საფრანგეთისაგან 55 მილ. ფრ. და ჩეხო-სლოვაკიისაგან 50 მილ. ფრანკი.

რომი, 22 თებ. რუსეთის დელეგაცია კრასინის მეთაურობით გაემგზავრა ლონდონიდან ბერლინში, საიდანაც წავა მოსკოვში მთავრობისათვის მოხსენების წარსადგენად, ლონდონში, ბერლინში და პარიზში მოლაპარაკების წარმოების მსვლელობის შესახებ.

ლონდონი. თებ. 22. იაპონიის მთავრობამ ოფიც ალურად აუწყა იტალიის მთავრობას, რომ იგი მონაწილეობას მიიღებს გენუას კონფერენციაში.

პარიზი, თებ. 22. „ტანის" ცნობით ოსმალეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა მაშინ დაუყოვნებლივ ხელი მოაწერა კომერციულ ხელშეკრულებას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან.

ბერლინი, თებ. 22. ფინეთის პოლიტიკურ პარტიათა უმრავლესობა წინააღმდეგია სამხედრო კავშირისა პოლონეთთან. ეს საკითხი გადატანილია ფინლიანდიის სეიმში განსახილველად. რამდენადაც ცნობებიდან სჩანს საფრანგეთი ხელს უწყობს ამ კავშირის განმტკიცებას.

ნაუენი, თებ. 22. გლივიციდან იტყობინებიან ახალი ინციდენტის შესახებ, რომელიც მოეხდარა ზემო სილეზიის ტერიტორიაზე. მომხდარა ფრანგ ჯარისკაცთა და გერმანელთა შეტაკება.

ნაუენი, თებ. 22. ბერლინის გაზეთებში მოყვანილია სტატისტიკური ცნობები სხვა და სხვა ქვეყნის სამხედრო ძალის რიცხოვნების შესახებ. გერმანიას ჰყავს ყველაზე პატარა ჯარი 0,17 პროც. მთელ მცხოვრებთა რიცხვისა. პორტუგალიას 0,19 პროც., ჰუნგრეთისა და ავსტრიას 0,45 პროც. თითოეულს. პოლონეთს 1,3 პროც., ჩეხო-სლოვაკიას 1,47 პროც., ჩრდილო-სლავიას 1,43 პროც., ბელგიას 1,49 პროც. და საფრანგეთს 2,19 პროც.

რომი, თებ. 22. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთმა ოფიციალურად უარყო ცნობა საფრანგეთ-რუსეთის მოლაპარაკებისა, ფინანსიური თათბირი რუსეთ-საფრანგეთის შორის მაინც გრძელდება.

რომი, თებ. 22. გერმანეთისა და რუსეთის მთავრობის შორის დაიდო ხელშეკრულება მოსკოვსა და ბერლინს შორის პ. ეროთ მგზავრობისა.

რომი, თებ. 22. რომის გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ახალი კოალიციონური მთავრობის შექმნა არ მოხერხდა. მთავრობის შედგენა დაევალა ორლანდოს.

ბორდო, 12-II „ტანი" აღნიშნავს: საბჭოთა მთავრობა ფედმდე სცდილობდა ეწარმოებინა სეპარატიული მოლაპარაკება ევროპის თითოეულ სახელმწიფოებთან კერძოდ, ანიჭება და მათ ეკონომიურ სარგებლიანობას ცალ-ცალკე და ამით სურდა შუღლი ჩამოეგდო მათ შორის. მსგავსი თამაში საბჭოთა რუსეთის მოსალოდა მას შემდეგ, რაც დიდძპყრობელნი შეიკრიბებიან გენუაში. ეჭვი არ არის იმაში, რომ ევროპის სახელმწიფოები, რომლებიც დაინტერესებული არიან ევროპისა და რუსეთის ეკონომიურ აღდგენით, გვერდს აუხვევენ ურთიერთ წინააღმდეგ მოქმედებას, რათა კანაში დადებული პირობები განადლეიული იქნას. მაგრამ საბჭოთა მთავრობა სდგას კომუნისტურ ფრონტის განმტკიცების თვალსაზრისზე და ამ ფრონტის შექმნისათვის იგი კვლავ განაგრძნობს სეპარატიულ გზებით სვლას. „ტანის" აზრით, თუ ბოლშევიკები უარყოფენ მთლიანი ფრონტის იდეებს, ამით ისინი უფრო მიაღწევენ თავის მიზნებს", რა თქმა უნდა, სწერს დასასრულ „ტანი", საფრანგეთი არ ჩაერევა კომუნისტების ძანევრებში და დაეხმარება რუსეთს მხოლოდ მაშინ, როდესაც რუსეთი დაიკავებს ისეთ პოზიციას, რომლითაც შესაძლებელი გახდება ასეთი დახმარება.

# გენუას კონფერენცია

## ნაკაზი რუსეთის დელეგაციას

მოსკოვი, 13 თებ. მოსკოვის საბჭომ დაამტკიცა შემდეგი ნაკაზი რ. ს. ს. ფ. რ. დელეგაციისა გენუას კონფერენციაზე. ამ ნაკაზში სწერია: „მოსკოვის საბჭო საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას იწონებს სრულად, რომელმაც ევროპის სახელმწიფოები მიიყვანა რ. ს. ს. ფ. რ. პირდაპირ მოლაპარაკების აუცილებლობამდი. მოსკოვის საბჭო იწონებს დელეგაციის შემადგენლობას და ავალებს მას მუდმივ ახსოვდეს, რომ საერთო კონფერენციაზე იგი მივა როგორც წარმომადგენელი რუსეთის მშრომელთა მასსისა, რომელმაც მესაკუთრეობის და კაპიტალის უღელი მოიშორა, რომ იგი წარმომადგენელია [illegible] ყველაზე მეტი უბედურება გადიტანა იმპერიალისტებისგან მოხვეულ ომისგან. ჩვენ არ ვედავებით ჩვენ მიერ შეწირულ მსხვერპლის გადახდას სხვა ხალხების შრომის ანგარიშზე, მაგრამ ჩვენ ამავ წამს ვერ შევსწირავთ ვერც ერთ წვეთს მუშის ოფლისას, რომ ამით გავამდიდროთ ისინი, ვინც ხალხის უბედურებაზე ქონებას იძენს, ვუწევთ რა ჩვენს თავს ანგარიშს, რომ საერთო კონფერენციაზე ცენტრალურ საკითხად იქნება კითხვა ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენისა, მოსკოვის საბჭო ავალებს დელეგაციას, არ დასთმოს არც ერთი კაპეიკი ხალხის მიერ შრომით შექმნილ ქონებისა. დრმად დარწმუნებული, რომ მხოლოდ საერთო გადასვლა მესაკუთრეობის კომუნისტურ სისტემაზე შექმნის ნამდვილ გამოსავალს იმ სიღატაკის და სისხლის კვანძიდან, რომლამდისაც მიყვანილია მსოფლიო კაპიტალის მბრძანებლობით, იმპერიალისტურ ომით და დაგვირგვინებულ იძულებით ზავით, მოსკოვის საბჭო ავალებს დელეგაციას შეგნებულად მოეკიდოს ყოველ წინადადებას, რომელსაც ცოტაოდენი შემსუბუქება მაინც შეუძლიან მოუტანოს მსოფლიოს მშრომელთათვის.

მოსკოვის საბჭო დარწმუნებულია, რომ კაპიტალისტურ ანგარების ინინტერესებს რ. ს. ს. ფ. რ დელეგაცია დაუპირდაპირებს საქმიან პროგრამას დაუყონებლივ ზომებისა, რომლებ მიაც ხალხები, გატანჯულნი ომით, შიმშილით და ეკონომიურ განადგურებით, იპოვიან თავის ინტერესების და იდეალების გამოხატულებას".

## მოსკოვის საბჭოს მიმართვა მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი.

მოსკოვის საბჭომ ამხ. ჩიჩერინის წინადადებით, დაადგინა მიმართოს მოწოდებით მთელ მსოფლიოს მშრომელებს, მტკიცე იმედის გამოთქმით, რომ რუსეთის მუშების და გლეხების დელეგაცია მსოფლიო კონფერენციაზე, მოიპოვებს დახმარებას და თანაგრძნობას მთელ მსოფლიოს მშრომელებისას, ვინაიდან რ. ს. ს. ფ. რ. დელეგაციის პროგრამა იქნება მხოლოდ გამოსახულება მშრომელების მოთხოვნილებებისა და იდეალებისა, რომელნიც გატაცებული არიან ომით და იძულებით ზავით. ყველა მშრომელთა ინტერესების ერთობის შეგნებით მოსკოვის საბჭო მოუწოდებს ყველა დაჩაგრულებს და გაუბედურებულებს ბრძოლის ლოზუნგით „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით". გაუმარჯოს მუშათა საქმის გამარჯვებას მთელ მსოფლიოში".

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი


ყოველდღიური გაზეთი
ტრიბუნა
ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.
1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 120,000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.
უფასოდ გაზეთი აღარავის გაეგზავნება.
ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან,
რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.



ს. ს. ს. რესპუბლიკის საბჭოთა მომწვევი ცენტრალური საარჩევნო
კომისია
აუწყებს საბჭოს ყველა დელეგატებს, რომ სრულიად საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა გაიხსნება ამა წლის თებერვლის 25-ს, საღამოს 6 საათზე სახელმწიფო ოპერის შენობაში.